სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

22 / მარტი / 2024 წ.

KA080160620262524

№ **945**

განკარგულება

ი.მ. მამუკა ფაილოძის გაფრთხილების შესახებ

კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია: 2024 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისია;

ტენდერის ნომერი: CON230000421;

შესყიდვის ობიექტი: 60100000 – საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები;

მიმწოდებელი: ი.მ. მამუკა ფაილოძე (პირადი №03001010236);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 27 თებერვალს წარმოდგენილ იქნა 2024 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2024 წლის 27 თებერვლის წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 2), რომლითაც სააგენტოს ეცნობა CON230000421 კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ გამარჯვებული პრეტენდენტის – ი.მ. მამუკა ფაილოძის (პირადი № 03001010236) მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართის mamukafailodze6@gmail.com საშუალებით, 2024 წლის 29 თებერვლის № 681 წერილით აცნობა სააგენტოში სატენდერო კომისიის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს გამარტება არ წარმოუდგენია.

2. სატენდერო კომისიის პოზიცია

2.1. წერილობითი შეტყობინების თანახმად, CON230000421 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. მამუკა ფაილოძე (პირადი № 03001010236). აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე, 2023 წლის 29 დეკემბერს ი.მ. მამუკა ფაილოძესა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა №164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2.2. მიმწოდებელმა 2024 წლის 5 თებერვლის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ 2024 წლის 15 თებერვლიდან ვეღარ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 7 თებერვლის №120-120240387 წერილით სატენდერო კომისიას მიმართა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

2.3. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ, 2024 წლის 12 თებერვლის № CON230000421-3 სხდომის ოქმით, მიიღო გადაწყვეტილება ხსენებული კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 29 ნოემბერს 2024 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიამ გამოაცხადა CON230000421 კონსოლიდირებული ტენდერი საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებების (CPV60100000) შესყიდვის მიზნით.

4.2. CON230000421 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, 2023 წლის 29 დეკემბერს ი.მ. მამუკა ფაილოძესა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა № 164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2024 წლის 15 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა გაეწია სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 151 251,24 ლარი.

4.3. მიმწოდებელმა 2024 წლის 5 თებერვლის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ 2024 წლის 15 თებერვლიდან ვეღარ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა.

4.4. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2024 წლის 7 თებერვლის №120-120240387 წერილით სატენდერო კომისიას მიმართა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

4.5. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ, 2024 წლის 12 თებერვლის № CON230000421-3 სხდომის ოქმით, მიიღო გადაწყვეტილება ხსენებული კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ.

4.6. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გაწია აქვს 19 657,82 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 13%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. მამუკა ფაილოძეს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსოლიდირებული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიამ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ამ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მასთან დადებული ხელშეკრულებების ყველა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტის თაობაზე.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა CON230000421 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მიმწოდებლის 2024 წლის 5 თებერვლის წერილით ირკვევა, რომ იგი 2024 წლის 15 თებერვლიდან ვერ შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ითხოვა ხელშეკრულებით შეწყვეტა, რის გამოც სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, ი.მ. მამუკა ფაილოძის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. მამუკა ფაილოძეს (პირადი №03001010236) 2024 წლის 25 მარტს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.